<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზასთან სხვა დანიშნულების გზის თვითნებური მიერთება, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს ან ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე ობიექტის უნებართვო მშენებლობა ან ობიექტის მშენებლობაზე დადებული შეთანხმების პირობების დარღვევა (გარდა ამ კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), პლაკატის, ტრანსპარანტის, აფიშის, სარეკლამო ფირნიშის, არასტანდარტული საგზაო ნიშნის უნებართვოდ განთავსება, გზის თვითნებურად გადათხრა ან სამუშაოთა წარმოებაზე დადებული შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, ანდა შესაბამისი ნებართვის გარეშე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად მიღება -

გამოიწვევს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“.

2. 194[1] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 194[2] მუხლი:

„მუხლი 194[2]. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეუთანხმებლად ან/და შეთანხმების პირობების დარღვევით სამშენებლო საქმიანობის განხორციელება

1. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეუთანხმებლად ან/და შეთანხმების პირობების დარღვევით, ნებისმიერი სამშენებლო საქმიანობის განხორციელება, ნაგებობის განთავსება, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი ან მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ, მის მართვაში არსებულ საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში -

გამოიწვევს ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის გაფრთხილებას.

2. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ გაფრთხილებისას განსაზღვრული მითითების შეუსრულებლობა დადგენილ ვადაში -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 2 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების ჩადენა -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 6 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი ან/და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა საავტომობილო გზის ან/და მისი შემადგენელი ნაწილის დაზიანება -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 50 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ქმედების ჩადენა -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 100 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სამშენებლო საქმიანობის განხორციელება/ნაგებობის განთავსება ხორციელდება მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, გარდა ამ შენიშვნის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ სამშენებლო საქმიანობის განხორციელება/ნაგებობის განთავსება ხორციელდება მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, თუმცა ამას შედეგად მოჰყვა საავტომობილო გზის ან/და მისი შემადგენელი ნაწილის დაზიანება, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, საავტომობილო გზის ან/და მისი შემადგენელი ნაწილის დაზიანებისთვის (როგორც ჯარიმის, აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ნაწილში).

3. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი სამართალდამრღვევს გაფრთხილებისთანავე აძლევს მითითებას და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას - არაუმეტეს 1 (ერთი) თვისა, შეუთანხმებელი ან/და შეთანხმების პირობების დარღვევით განხორციელებული/მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის, ნაგებობის განთავსების, შეწყვეტასთან ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან/დემონტაჟთან დაკავშირებით.

4. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებამოსილია ამ შენიშვნის მე-3 ნაწილით სამართალდამრღვევისთვის განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე დაიწყოს შეუთანხმებლად ან/და შეთანხმების პირობების დარღვევით განხორციელებული სამშენებლო საქმიანობის, ნაგებობის განთავსების, შედეგის დემონტაჟის პროცედურები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით და საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. შეუთანხმებელი ან/და შეთანხმების პირობების დარღვევით განხორციელებული სამშენებლო საქმიანობიდან, ნაგებობის განთავსებიდან, გამომდინარე ზიანის ანაზღაურება (მათ შორის, აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება) ან/და დემონტაჟის ხარჯები (ზიანი) დაეკისრება შენობა-ნაგებობის ან/და სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს - თუ ვერ დგინდება მშენებლობის განმახორციელებელი/ნაგებობის განთავსების განმახორციელებელი პირი.“.

3. 220-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 220[1] მუხლი:

„მუხლი 220[1]. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

1. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი პირი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი დადგენილება (მათ შორის, ელექტრონული დადგენილება) და სააღსრულებო ფურცელი;

ბ) განიხილოს სამართალდარღვევათა საქმეები, დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი და გასცეს სააღსრულებო ფურცელი იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებულ საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე);

გ) განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, მიიღოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება (მათ შორის, ელექტრონული დადგენილება) და დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი, იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 194[2] მუხლით, აგრეთვე გასცეს სააღსრულებო ფურცელი ამავე მუხლის მე-2-მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე;

დ) გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება (მათ შორის, ელექტრონული დადგენილება) და სააღსრულებო ფურცელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობის, ნაგებობის განთავსების, შედეგის დემონტაჟის ხარჯების (ზიანი) ანაზღაურების შესახებ;

ე) გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება (მათ შორის, ელექტრონული დადგენილება) და სააღსრულებო ფურცელი ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის შედეგად საავტომობილო გზისთვის ან/და მისი შემადგენელი ნაწილისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (მათ შორის, აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების ნაწილში) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194[2] მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე;

ვ) ამ კოდექსით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა შესრულების მიზნით გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია შესაბამისი უწყებებიდან;

ზ) გამოიყენოს სპეციალური აღჭურვილობა (მათ შორის, ვიდეო-აუდიოჩაწერა), დასალუქი საშუალებები, სპეციალური უნიფორმა და ლოგო.

2. საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის ნორმატიული აქტით განისაზღვრება:

ა) ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებული საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე) გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვის, სახდელის დაკისრების, სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი და უფლებამოსილი პირები;

ბ) ამ კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის, ადგილზე შემოწმების განხორციელების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების (მათ შორის, ელექტრონული დადგენილების) გამოცემისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი და უფლებამოსილი პირები;

გ) ამ კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული დემონტაჟის წესი;

დ) ამ კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობის, ნაგებობის განთავსების, შედეგის დემონტაჟის ხარჯების (ზიანი) ანაზღაურების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების (მათ შორის, ელექტრონული დადგენილების) და სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი და უფლებამოსილი პირები;

ე) ამ კოდექსის 194[2] მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული საავტომობილო გზისთვის ან/და მისი შემადგენელი ნაწილისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ (მათ შორის, აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების ნაწილში) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების (მათ შორის, ელექტრონული დადგენილების) და სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი და უფლებამოსილი პირები;

ვ) ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილითა (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებული საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე) და 194[2] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმები, მათი დამტკიცების,

შევსების, წარმოების და ჩაბარების წესები. აგრეთვე, სპეციალური აღჭურვილობის (მათ შორის, ვიდეო-აუდიოჩაწერის), დასალუქი საშუალებების, სპეციალური უნიფორმის და ლოგოს გამოყენების წესი.“.

4. 239-ე მუხლის 55-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 55[1] ნაწილი:

„55[1]. ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებული საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საამისოდ უფლებამოსილი პირი.“.

5. 242-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-10 ნაწილები:

„9. ამ კოდექსის 194[2] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ დგება. აღნიშნულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, ზიანის (მათ შორის, დემონტაჟის ხარჯების) ანაზღაურებაზე მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება (მათ შორის, ელექტრონული დადგენილება), რომელშიც, ამ კოდექსის 266-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, უნდა მიეთითოს საბანკო რეკვიზიტები, რომლითაც დაკისრებული თანხა უნდა იქნეს გადახდილი, აგრეთვე მისი გადახდის ვადა და სამართლებრივი შედეგები.

10. ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებული საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საამისოდ უფლებამოსილი პირი გამოსცემს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.“.

6. 268[2] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 268[3] მუხლი:

„მუხლი 268[3]. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული დადგენილების/სამართალდარღვევის ოქმის ან/და

ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი დოკუმენტის/შეტყობინების/საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებების ჩაბარების წესი

1. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული დადგენილებები/სამართალდარღვევის ოქმები ან/და ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი დოკუმენტები/შეტყობინებები/საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებები სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებულად ითვლება დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემისთანავე (მათ შორის, ადგილზე პირადად, საფოსტო გზავნილით). დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ სამართალდამრღვევი უარს აცხადებს დოკუმენტის ასლის მიღებაზე (დოკუმენტში შესაბამისი აღნიშვნით ასლის მიღებაზე უართან დაკავშირებით).

2. ამ კოდექსის 194^2 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან მიმართებით, თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით დოკუმენტის ჩაბარება ვერ ხერხდება, დოკუმენტის ჩაბარებად ითვლება დოკუმენტის განთავსება თვალსაჩინო ადგილას სამშენებლო ობიექტზე (თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება, მათ შორის, სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული საინფორმაციო დაფა, შენობა (მათ შორის, დროებითი), შემომფარგლავი უსაფრთხოების ღობე). ამ წესით დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება განთავსებიდან მე-3 დღეს.

3. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტ(ებ)ის ჩაბარება ვერ ხერხდება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილი წესით, ჩაბარებად ჩაითვლება დოკუმენტის გამოქვეყნება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე. ამ წესით დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.“.

7. 272-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^2$“ ქვეპუნქტი:

„$ა^2$) საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილითა (გზის საფრის გაჭუჭყიანების, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრის ნაწილში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვაში არსებული საავტომობილო გზაზე ან/და მის შემადგენელ ნაწილზე) და 194^2 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში. ამ კოდექსის 220^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრება არ აჩერებს მათ მოქმედებას და აღსრულებას;“.

მუხლი 2. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა შესაძლებელია აჭარბებდეს „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის დამტკიცებულ საშტატო რიცხოვნობას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**